პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 9 (14005) | პარასკევი, 12 იანვარი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

გულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა წერილებს!

ყოველდღიურად ათასობით წერილი მოდის რაიხაბჭოსა და სახოფლო საბჭოს აღმასკომებში, დაწესებულებებსა და უწყებებში. ისინი გამოხატავენ ცხოვრებას — წარმატების სიხარულსა და მწვავე სიგნალს, წინადადებასა და საჩივარს. წერილები სხვადასხვაგვარია, მაგრამ რასაც უნდა ეხებოდნენ ისინი, თუნდაც ეს პირველი შეხედვით მხოლოდ პირადი საკითხები იყოს, — თვითეულ მათგანს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან განასახიერებს საბჭოთა ადამიანების დიდ ნდობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი.

ყოველი აღმასკომის დღეგანდელი ფოსტა დამაჯერებლად მოწმობს, რომ იზრდება მასების პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა. შეიცვალა წერილების ხასიათი: როგორც წესი, ისინი გამოწვეულია უაღრესი დაინტერესებით, რომ გაუმჯობესდეს საქმე ამა თუ იმ უბანზე, ნაკარნახევია ქვეყნის ბატონ-პატრონის მოქალაქეობრივი გრძნობით. და ყოველ წერილში ჩანს ადამიანის ბედი, ცოცხალი ადამიანი, მისი ფიქრები და მისწრაფებანი, ბედნიერება და უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა.

სკკპ XXIII ყრილობამ, რომელმაც განამტკიცა და განავითარა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გავაფართოოთ ურთიერთობა მასებთან, ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი ინიციატივას და სრულვყოთ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლები. ამიტომ არის, რომ წერილებზე მუშაობა ახლა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, ღრმა ანალიზურ მიდგომას და სწორ მეცნიერულ ორგანიზაციას.

ეს უწინარეს ყოველისა ნიშნავს, რომ კერძო ფაქტში, ცალკეულ წერილში უნდა ვხედავდეთ საზოგადოებრივ მოვლენას, ვაფასებდეთ მას, გამოვკვლევდეს ფართო დასკვნები.

საგულისხმოა, მაგალითად, როგორ მოეკიდა ზესტაფონის საქალაქო საბჭოს აღმასკომი პენსიონერი რკინიგზელის ვ. ხიჯაკაძის მიერ გაგზავნილ წერილს.

წერილში ეწერა, რომ ზესტაფონში ჭავჭავაძის ქუჩაზე სამაცი ოჯახი და საბავშვო ბაღი სასმელი წყლის მწვავე ნაკლებობას განიცდის.

ვ. ხიჯაკაძის წერილს საქალაქო საბჭოში გულისხმიერად მოეკიდნენ. საკითხი გულდასმით შეისწავლეს, განიხილეს და ღონისძიებებიც დასახეს. საქმეში დეპუტატები ჩაერევნენ, გამოინახა წყალსადენის მშენებლობის მასალები, შრომითი მონაწილეობა კი თვით ქუჩის მცხოვრებლებმა იკისრეს.

გულმოდგინე შრომითა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის მხარდაჭერით წყალსადენი გაკეთდა 1,5 კილომეტრზე. ახლა ყველა ოჯახი და საბავშვო ბაღი შეუფერხებლად იღებს სასმელ წყალს. მოსახლეობა კმაყოფილია.

ბევრ დეპუტატს, აქტივისტსა და რიგით მშრომელს შემოაქვს საქმიანი, სასარგებლო წინადადებები თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომში, რომელიც გულისხმიერად ეხმაურება ამ წინადადებებს. მაგალითად, თიანეთის საკოლმეურნეო მეშენებლობის მუშამ მ. კურდღელაშვილმა რაიაღმასკომს მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არავითარი ყურადღება არ ექცევა სკოლა-ინტერნატთან მდებარე უბნის კეთილმოწყობას, გზებზე ყოველთვის გაუვალი ტალახია, არ არის ელექტროგაყვანილობა და სხვ. მ. კურდღელაშვილის განცხადება შეიმოწმა რაისაბჭოს აღმასკომის კომისიამ. ფაქტები დადასტურდა. რაიაღმასკომის სხდომამ განიხილა აღნიშნული უბნის კეთილმოწყობის საკითხი. ამჟამად მდგომარეობა სწორდება. მიმდინარეობს ქუჩის კეთილმოწყობა, გაჰყავთ ელექტრობაზი, ჩატარდა გამქვანების სამუშაოები.

დაბა ხიონის მშრომელებს ბევრჯერ გამოუთქვამთ უკმაყოფილება იმის გამო, რომ არ მუშაობდა ამბანო, დაკეტილი იყო აფთიაქი, ბევრი ნაკლი იყო ვაჭრობაში. დახმარებისათვის თავიანთ დეპუტატს ე. გოგალაძეს მიმართეს, რომელმაც გულდასმით შეისწავლა ეს საკითხი და განსახილველად შეიტანა რაისაბჭოს აღმასკომში. დაბის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხი განიხილა ხიონის სადაბო საბჭოს სესიამ, და მდგომარეობა გამოსწორდა.

ამას წინათ რაისაბჭოს სესიამ სპეციალურად განიხილა მშრომელთა წერილების აღრიცხვის, მათზე რეაგირების საკითხი. მიღებულ იქნა სათანადო გადაწყვეტილება.

სოხუმის რაისაბჭოს აღმასკომს ხოფელ ბესლეთის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის წევრები კ. ხარაიშვილი, ხ. აბულაძე, კ. გელაშვილი, ტ. ტაბატაძე, და გ. გელაშვილი სწერდნენ, რომ მათი სამოსახლო ნაკვეთები იმეწყრება და იქ ცხოვრება არ შეიძლება. ითხოვდნენ ახალი სამოსახლო ადგილის გამოყოფას. აღმასკომმა უყურადღებოდ როდი დატოვა მშრომელთა ეს განცხადება, საკითხი შეისწავლა. კოლმეურნეებს ახალი სამოსახლო ნაკვეთები გამოეყოთ.

ახლა რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოები მეტი გულისხმიერებით ეკიდებიან მშრომელთა წერილებს, ობიექტიურად განიხილავენ მათ, იღებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით მშრომელთა წერილებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს. ზოგჯერ ფიქრობენ, თუ აღძრულია კერძო, პირადი საკითხი, გარჩევა შეიძლება გადაიდოს, ამ წერილის ავტორი მოიცდის, ხოლო როცა იგი დაელინებით მოითხოვს ყურადღებას, ზოგჯერ თავმომაბეზრებელ მომჩივნად თვლიან. ზოგან სიტყვა „მომჩივანს“ საწყენ მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ. რადგან ეს კაცი ბევრს წერს, ჩივის, მაშასადამე, ყველას და ყველაფერს ჩირქსა სცხებსო. თქმა არ უნდა, ასეთებიც არიან, მაგრამ ერთეულები, და მათი გამოცნობა ძალიან ადვილია, ესენი უკვე, ზუსტად რომ ვთქვათ, მომჩივანნი კი არა, ცილისმწამებლები არიან.

წერილების დიდი ნაწილი საქმიანია და მათი ავტორები განმეორებით მოგვმართავენ, უნდა გავარკვიოთ, ახალი წერილი იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ გულისხმიერად არ მოვეკიდეთ პირველ სიგნალსა თუ თხოვნას.

საბჭოთა ორგანოების მუშაკებს, თვითულ დეპუტატს კარგად უნდა ახსოვდეთ ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა გულდასმით გავარჩიოთ ყოველი საჩივარი და, თუ სამართლიანია, ყოველთვის გამოვნახოთ შესაძლებლობა, რომ გაჭირვებაში არ მივატოვოთ მთხოვნელი. ყოველი განცხადების გამო ბოლომდე უნდა მივიყვანოთ საქმე, განვახორციელოთ ესა თუ ის კონკრეტული ღონისძიება. სამწუხაროდ, ასეც ხდება: დაპირდებიან ავტორს საკითხის გადაჭრას, პრაქტიკულად კი არაფერს აკეთებენ. ეს მხოლოდ სამართლიან წყენას იწვევს. რა თქმა უნდა, ყოველი თხოვნის დაკმაყოფილება არ შეიძლება. თუ შეუძლებელია იმის გაკეთება, რაზეც მთხოვნელი წერს, პირდაპირ უნდა ვუთხრათ, ავუხსნათ მიზეზები, მივცეთ გონივრული რჩევა. და რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში დროზე ვუპასუხოთ ავტორს, და ისე, რომ საქმენი აღარ გახდეს ახალი განცხადება.

საქმის ინტერესები მოითხოვს უფრო ხშირად გავუკეთოთ ანალიზი მიღებულ საჩივრებსა და წინადადებებს, გამოვტანოთ უფრო დიდმნიშვნელოვანი წერილები კოლექტიური განხილვისათვის ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, მათი აღმასკომების სხდომებზე.

წესრიგი წერილების აღრიცხვაში, ყოველდღიური კონტროლი იმისადმი, თუ როგორ სრულდება მნიშვნელოვანი წინადადებანი, რომლებსაც ისინი შეიცავენ, რამდენად ყურადღებითა და სწრაფად ირჩევა საჩივრები, — ეს სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის შემდგომი ამაღლების უმთავრესი პირობაა.

ჩვენი პარტია და მთავრობა მუდამ დიდი ყურადღებითა და გულისხმიერებით ეკიდებოდნენ და ეკიდებიან ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მშრომელთა წერილებზე რეაგირების საკითხს. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ საკითხზე მიღებული დადგენილება. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წინადადება მისცა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მუდმივი და ქმედითი კონტროლი გაუწიონ იმას, რომ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დროულად, უყურადღებათ განიხილავდნენ წერილებსა და საჩივრებს.

დადგა ახალი — 1968 წელი, ხუთწლედის მესამე წელი. საბჭოთა ადამიანები ახალი იმედებითა და ფიქრებით, მიზნებითა და ამოცანებით შეეგებნენ მას. ამ ახალი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში გზადაგზა წარმოიქმნება ხიძნელეებიც, რაზეც კვლავ მისწერენ მშრომელები აღმასკომებს, დეპუტატებს, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, წამოაყენებენ თავიანთ წინადადებებს, გამოთქვამენ გულისტკივილს. ყოველ წერილს დიდი გულისხმიერებით უნდა მოვეკიდოთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი განცხადება უკან ცოცხალი ადამიანი დგას.

ყურადღება წერილებისადმი — ეს არის ყურადღება ადამიანისადმი, მისი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი.

ხუთწლედი—ვადამდე!

ქვანახშირი—გეგმის გადამეტებით

ტყიბული. (საკ. კორ.). ყოველდღიურად ამოვიღოთ მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი. ამ დევიზით დაიწყეს ტყიბულელმა მეშახტეებმა მუშაობა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე. ყველა შახტის ურნალზე ახლა ჩაუქრობლად კიაფობენ წითელი ვარსკვლავები.

იანვრის პირველ დეკადაში შრომითს წარმატებას მიაღწია სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა (უფროსი გ. რაზმაძე). აქ ახალი სამეურნეო წლის ანგარიშში გეგმის გადამეტებით უკვე ამოღებულია 322 ტონა შავი ოქრო. შრომითს წარმატებებს აღწევენ ის საექსპლოატაციო უბნები, რომლებსაც გამოცდილი სამთოელები მ. ვერულაშვილი, კ. გაბრიაძე, თ. ახვლედიანი ხელმძღვანელობენ.

იანვრის პირველ დღეებში შახტის ერთ-ერთ ღრმა ჰორიზონტზე დაიწყეს ახალი მძლავრი სამთო ველის მომზადება, სადაც ტყიბულის საბადოში პირველად დაინერგება ქვანახშირის მომნგრევი კომბაინი.

ზეგეგმითი ქვანახშირის პირველი ტონები ჩატვირთეს ეშელონებში ლენინის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტებმაც. „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტმა (მმართველი ნ. კვინიხიძე) ახალი წლის პირველი დეკადის სათბობის მოპოვების გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა.

დეკადის დავალება შეასრულეს

საჩხერე. (საკ. კორ.). საყალიბე ქვიშების მაღაროს კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა გასული წელი და კარგად დაიწყო ხუთწლედის მესამე სამეურნეო წელიც. აქ გადაჭარბებით შეასრულეს იანვრის პირველი დეკადის დავალება, გამოუშვეს ასეულობით ტონა საყალიბე და კვარციტის ქვიშები.

ხუთწლედის მესამე წლის ვახტზე დგანან და მაღალნაყოფიერად შრომობენ მ. ბახტურიძე, ვ. ერაძე, ა. კაპანაძე, ე. ყაზაროვი და სხვები.

რიონჰესელთა წარმატებანი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ათი წელია, რაც რიონჰესის კასკადის კოლექტივი შეუფერხებლად და უავარიოდ მუშაობს. საიუბილეო წელს ენერგეტიკოსებმა გეგმის გადამეტებით სახალხო მეურნეობას 9,6 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია მისცეს და საკუთარ მოხმარებაზე ენერგიის ხარჯვა 162 ათასი კილოვატ-საათით შეამცირეს. მოგებამ გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთი შეადგინა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის „საქმთავარენერგოს“ კოლეგიისა და ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით რიონჰესს კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელი მიენიჭა და მის კოლექტივს რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

ამ დღეებში ენერგეტიკოსებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო წოდების მინიჭების დიპლომი.

ინერგება ახალი ტექნიკა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ახალი ტექნიკისა და შრომის მეცნიერული მეთოდების დანერგვით, კომუნისტური შრომისათვის ლაშქრობის ფართოდ გაშლით წარმატებებს აღწევენ ჭიათურელი მაღაროელები. ლენინის ორდენოსანმა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 350.000 ტონა სასაქონლო მარგანეცი, აქედან 174.000 ტონა მაღალი ხარისხისაა.

ამ გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს კალინინის, ორჯონიკიძის, დიმიტროვის, ლენინის სახელობის მაღაროების და ცენტრალური წამყვანი ფაბრიკის კოლექტივებმა.

მაღაროელებმა კარგად დაიწყეს ხუთწლედის მესამე წელი. იანვრის პირველი კვირის დავალებები შეასრულეს ლენინის, ორჯონიკიძის და დიმიტროვის სახელობის მაღაროებმა, ცენტრალურმა დამყვანმა ფაბრიკამ.

ამის მდინარე ენგურზე შენდება მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგური. ქართველებთან ერთად აქ წარმატებით შრომობენ მოძმე რესპუბლიკების წარმოგზავნილებიც. სურათზე: მარჯვნიდან — ცვლის ოსტატი ა. ჯორჯიკია, დონბასიდან ჩამოსული მშენებელი ი. მისიურა და მოწინავე გამყვანი ა. ტოსუკოვი.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

მეკავშირეობა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა

10 იანვარს მოსკოვში გაიხსნა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის წარმომადგენლობა. საზეიმო ცერემონიაზე შეეკრიბნენ სამინისტროთა და უწყებათა, სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის, საბჭოთა საგარეო სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ი. კ. პეხოდოვმა, შემდეგ გამოვიდნენ საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი მიშელ დებრე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი მაქს ფლეშე.

მათ აღნიშნეს, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის შექმნა და მისი წარმომადგენლობის გახსნა მოსკოვში ისეთი ღონისძიებაა, რომელიც ხელს შეგვიწყობს განვავითაროთ და გავაღრმაოთ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის მოსკოვის წარმომადგენლობის გახსნას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, საფრანგეთის მეცნიერული კვლევის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი მორის შუმანი, საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ოლივე ვორმსერი, პარიზის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ან�ი კურბო, საფრანგეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. (საკადესი).

ფლაგმანის მეჯოგელი

ევროპაში უდიდესი 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკის გვერდით, რომელიც საიუბილეო წლის დამამთავრებელ დღეებში პირველი დენი გამოუშვა, სლავიანსკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, მალე აღიმართება მეორე ასეთივე გოლიათი. დაიწყო მიწის სამუშაოები მისი მთავარი შენობის ასაგებად.

„დონბასენერგომშენის“ ტრესტის მმართველმა მ. კ. არისტოვმა საკადესის კორესპონდენტს გააცნო სამუშაოთა მოცულობა, რომლებიც აქ უნდა შესრულონ მშენებლებმა. ახალი ბლოკის ქვაბი, ტურბინა და გენერატორი მოთავსდება დიდი ფეხბურთის მოედნის ოდენა ფართობის კორპუსში: მისი სიგრძე იქნება 120, ხოლო სიგანე — 96 მეტრი. აქ უნდა ჩაიყოს 50 ათასი კუბური მეტრი რკინა-ბეტონი და ააწყონ 40 ათასი ტონა ტექნოლოგიური მოწყობილობა.

ბაკის „ბაკი“ 10 წლისაა

ბაკო, 10 იანვარი. (აზედესი). დღეს როგორც ყოველთვის, რუტაფოფი მანქანებიდან ჩამოვიდა საღამოს გაზეთ „ბაკის“ ნომერი. და მაინც იგი განსხვავდებოდა იმ ნომრებისაგან, რომლებსაც ყოველდღიურად იღებენ მკითხველები. ამ საღამოს ბაკოელებმა აღნიშნეს თავიანთი საღამოს გაზეთის იუბილე: ზუსტად ათი წელი შესრულდა, რაც აზერბაიჯანის დედაქალაქის გაზეთების კიოსკებში გამოჩნდა „ბაკის“ პირველი ნომერი.

ბაკოელთა სურვილით შექმნილმა გაზეთმა მოკლე ხანში მოიხვეჭა მკითხველთა სიყვარული და აღიარება. სარედაქციო კოლეგატივი, გაზეთის გარშემო გაერთიანებული ავტორთა დიდი აქტივი ყოველნაირად ცდილობს რომ „ბაკი“ იყოს მებრძოლი, ქმედითი ორგანო, ცხოვნად ეხმაურებოდეს ცხოვრების ყველა მოვლენას.

გაზეთ „ბაკის“ გამოსვლის ექვსი წლის შემდეგ მას გაუჩნდა უმცროსი ძმა — საღამოს გაზეთი „ბაკი“, რომელიც რუსულ ენაზე გამოდის.

„ბაკი“ ცდილობს ყოველთვის და ყველაფერში პარტიის ერთგული თანაშემწე იყოს და ამიტომ მუდამ მოვლენათა ცენტრშია. გაზეთი აქტიურად უწევს პროპაგანდას პარტიის გადაწყვეტილებებს, თავისი მწვავე მგზნებარე წერილებით ეხმარება რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებს ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, აშუქებს, თუ როგორ ემზადებიან ბაკოელები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად.

საღამოს გაზეთის ფურცლებზე მთელი ამ წლების განმავლობაში გამოქვეყნდა ბევრი შესანიშნავი, შთამბეჭდავი მასალა შრომის გმირებზე, წარმოების ნოვატორებზე, ყველა იმათზე, ვინც კომუნისტური მშენებლობის ავანგარდშია. „ბაკის“ კორესპონდენტები კასპიის მენავთობეთა ხიმინჯებიანი ქალაქის ფოლადის ესტაკადებისა და ნავთობგადასამუშავებელი დანადგარების, მანქანათსაშენებელი ქარხნებისა და მეტროს გვირაბების ხშირი სტუმრები არიან.

საღამოს გაზეთს ტყუილად როდი უწოდებენ რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრების მატიანეს. განვლილი ათი წლის მანძილზე ბაკო უმაგალითოდ გაიზარდა, გაფართოვდა, კიდევ უფრო დამშვენდა. ერთიანობრად გადიდდა ქალაქის სამინიმო ფონდი. გუშინდელი უდაბური ადგილების ნაცვლად გაჩნდა საცხოვრებელი უბნები, ფართო, მწვანეში ჩაფლული მაგისტრალები. რამდენი ახალი, მშვენიერი შენობა ააგეს ამ წლების მანძილზე ბაკოში! ეს ენინა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალი, მ. ფ. ახუნდოვის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსი, საცირკო ხელოვნების სასახლე! ქალაქის მიწისქვეშა მაგისტრალებზე დაჩქარიან მეტროს ცისფერი ექსპრესები. თითოეულ ამ ნაგებობაზე გაზეთი ბევრ რამეს უამბობდა მკითხველებს და ხშირად ბრესის გამოსვლები ხელს უწყობდა მშენებლობის ტემპის დაჩქარებას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელსაც გაზეთი ისახავს, ის არის, რომ გადაგვიშალოს, ასახოს საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, „ბაკის“ ფურცლებზე ბევრი მასალა გამოქვეყნდა აზერბაიჯანის დედაქალაქის კულტურის, ხელოვნების აყვავების, შემოქმედებითი შრომის ადამიანების შესახებ.

გაზეთის ძალაა მისი კავშირი ავტორთა აქტივთან. ამ წლების განმავლობაში საღამოს გაზეთის გარშემო შეკავშირდა მკითხველთა დიდი კოლექტივი, რომელიც ხელს უწყობს გაზეთის გაკეთებას. საკმარისია ითქვას, რომ „ბაკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მკითხველთა 70 ათასზე მეტი წერილი. გაზეთის გამოცემაში მონაწილეობს ბაქოს თითქმის ყოველი მეათე მცხოვრები.

დღეს ბაქოელებმა გულთბილად აღნიშნეს თავიანთი საღამოს გაზეთის იუბილე. ამ მოვლენას მიეძღვნა საღამო, რომელიც ბაქოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა.

საღამო გახსნა პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. მ. კადიროვმა.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტისა და ბაქოს საბჭოს მისალმებას გაზეთის კოლექტივისადმი, მისი ავტორთა აქტივისადმი, რომელიც წაიკითხა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. გ. მამედოვმა.

მოხსენება გააკეთა გაზეთ „ბაკის“ და გაზეთ „ბაკუს“ რედაქტორმა ნ. იმანგულიევმა.

იუბილარებს გულთბილად მიულოცეს დღესასწაული და ახალი წარმატებანი უსურვეს ბაქოს საწარმოთა და მშენებლობათა, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციათა, აგრეთვე მოსკოვის, თბილისის, ერევნის, ტაშკენტის საღამოს გაზეთების წარმომადგენლებმა.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 11 იანვარს კრემლში მიიღო საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მუდმივმოქმედი შერეული კომისიის ფრანგული ნაწილის თავმჯდომარე მ. დებრე, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება ამ კომისიის მეორე სესიასთან დაკავშირებით.

საუბრის დროს კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მიღწეულია არსებითი პროგრესი სსრ კავშირისა და საფრანგეთის ეკონომიური, სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის განვითარებაში და რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა ამ დარგებში სულ უფრო ფართო და ნაყოფიერი ხდება. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ სურთ კიდევ უფრო განავითარონ ყოველმხრივი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ხანგრძლივ საფუძველზე.

ა. ნ. კოსიგინმა და მ. დებრემ განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები და ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი აქტუალური საერთაშორისო პრობლემა. (საკადესი).

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

კაირო, 10 იანვარი. (საკადესის სპეც. კორ.). ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები ეწვივნენ ელექტროგადამცემი ხაზების ქვესადგურს „კაირო-500“, რომელიც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობს.

ეს ქვესადგური ყველაზე დიდია მთელ აფრიკის კონტინენტზე. იგი ერთი თოთხმეტათანაა, რომლებიც ანაწილებენ ასუანის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებული აგრეგატების ელექტროენერგიას. ქვესადგურის დანიშნულებაა დენის ძაბვა შეამციროს 500 კილოვოლტიდან 200 კილოვოლტამდე და ელექტროენერგია მიაწოდოს კაიროს, ალექსანდრიას, დამანჰურსა და ქვეყნის სხვა ქალაქებს. ასუანის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატის ამუშავების მომენტიდან 1968 წლის 1 იანვრამდე ამ ქვესადგურის ტრანსფორმატორებმა უკვე „გადადამუშავეს“ 70 მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

საბჭოთა და ეგვიპტელი სპეციალისტები, საბჭოთა კავშირის უშუალო მონაწილეობითა და ტექნიკური დახმარებით აგებული ქვესადგურის მუშები და ტექნიკური პერსონალი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა სტუმრებს. სადგურის შენობა მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ლოზუნგებით საბჭოთა კავშირისა და არაბეთის მეგობრობის აღსანიშნავად.

კ. ტ. მაზუროვმა და დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს ქვესადგურის სასამსახურო ნაგებობანი, სადაც დადგმულია მართვის მთავარი ფარი, ღია განმანაწილებელი მოწყობილობა. ქვესადგურის ტერიტორია, ესაუბრნენ ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს.

შემდეგ საბჭოთა სტუმრებმა განაგრძეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქისა და მისი გარეუბნების დათვალიერება. სტუმრებმა, კერძოდ, დათვალიერეს ეგვიპტის უძველესი ძეგლები — გიზის პირამიდა.

საბჭოთა დელეგაციას კაიროსა და ქალაქის გარეუბნებში მოგზაურობისას ახლდნენ საპატიო მასპინძელი მეთაური მინისტრი აზაზ იასინი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სხვა ოფიციალური პირნი.

ა. სტუპაკი,
ა. კისლოვი.

კოსმოსის სარკმელი

11 იანვარს მინსკელებს ახალმა ასტრონომიულმა ობსერვატორიამ გაუღო კოსმოსის სარკმელი, რომელიც შექმნილია ქალაქის პლანეტარიუმთან. ამას იუწყება საკადესის კორესპონდენტი.

ექვსდიუმიანი ტელესკოპით შეგიძლიათ დაიკვირდეთ მთვარეს, მარსს, ვენერას, სატურნსა და მზის სისტემის სხვა პლანეტებს. ობსერვატორია გახდება ასტრონომიული წრეების წევრთა და მოსწავლეთა მეცადინეობის ადგილი.

„საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის შრომების კრებული „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“, რომელშიც საქართველოსა და ამერიკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია გაშუქებული.

კრებულში დაბეჭდილია სტატიები: ხ. ბერიძისა „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა რსდმპ (ბ) VI ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის“, ხ. კვაჭაძისა „ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი“, ე. კანტარესი „საქართველოს მუშათა კლასი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდისათვის“, პ. ცქვიტარიასი „აჭარის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის (1921-1922 წ.)“, ა. მერცხულავასი „საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგების ზრდა და მისი შემადგენლობის რეგულირება 1921-1929 წლებში“, ლ. თოიძისა „ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტების ბრძოლის ისტორიიდან (1926-1927 წ.)“, ა. სტეკლოვისა „საბჭოთა არმიის ნაწილების მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში ამიერკავკასიაში“, გ. ჯანგველაძისა „საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1921-1923 წ.)“, კ. ტოტოჩავასი „ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენისათვის (1921-1925 წ.)“, ფ. ლომაშვილისა „ამიერკავკასიის საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიიდან“, შ. თეთვაძისა „საქართველოს პარტიული და საბჭოთა პრესა სოფლების განმტკიცებისათვის (1921-1922 წ.)“, ა. მერცხულავასი „საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგების ზრდა და მისი შემადგენლობის რეგულირება 1921-1929 წლებში“, ლ. თოიძისა „ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტების ბრძოლის ისტორიიდან (1926-1927 წ.)“, ა. სტეკლოვისა „საბჭოთა არმიის ნაწილების მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში ამიერკავკასიაში“, გ. ჯანგველაძისა „საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1921-1923 წ.)“, კ. ტოტოჩავასი „ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენისათვის (1921-1925 წ.)“, ფ. ლომაშვილისა „ამიერკავკასიის საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიიდან“, შ. თეთვაძისა „საქართველოს პარტიული და საბჭოთა პრესა სოფლებში მომზადებული და გამოცემული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებს, სხვა სახის ლიტერატურის, სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების მოწყობის, დისერტაციების დაცვის შესახებ და სხვ

შედეგები და პერსპექტივები

რა გააკეთეს გასული ორი წლის მანძილზე და რა ამოცანების წინაშე დგანან ამჟამად — აი საკითხი, რომლის ირგვლივაც გაშალეს სჯა-ბაასი ბოლნისელმა კომუნისტებმა თავიანთ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე.

მომხსენებელმა— პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. სანიკიძემ და კამათის მონაწილე კომუნისტებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს საანგარიშო პერიოდში რაიკომისა და პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობას, გაბედულად ამხილეს მათს მოღვაწეობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, მიუთითეს მათი დაძლევის გზებსა და გამოუყენებელ რეზერვებზე.

ბოლნისელ მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების, პირველ რიგში კი თბილისისა და რუსთავის მომარაგებაში. ეს კარგად ესმით რაიონის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს, კომუნისტებსა და უპარტიო მშრომელებს. ამას მოწმობს შარშანდელი სამეურნეო მაჩვენებლებიც. საიუბილეო წელს რაიონმა სამშობლოს გეგმით გათვალისწინებული 2.400 ტონის ნაცვლად მიჰყიდა 3.000 ტონაზე მეტი მარცვლეული, გადამეტებით შესრულდა ყურძნის, ხილის, თამბაქოს, კარტოფილისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გეგმები. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი, რომლის ირგვლივაც გაშალეს სჯა-ბაასი ბოლნისელმა კომუნისტებმა თავიანთ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე.

> **ეს კი იმით აიხსნება, აღნიშნავდნენ დელეგატები, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა და სპეციალისტებმა არ განახორციელეს საჭირო ორგანიზაციული და აგროტექნიკური ღონისძიებანი ბოსტნეულის მოსავლიანობის ამაღლების მიზნით.**

კონფერენციის მონაწილეებმა გააკრიტიკეს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო, რომელმაც სათანადო დახმარება ვერ გაუწია საზოგადოებრივ მეურნეობებს ბოსტნეულის მოყვა-პატრონობისა და მოსავლის აღების საქმეში. აქვე გაკრიტიკებულ იქნენ „თბილისბოსტანეაპრობის“ დამამზადებელი კანტორის მუშაკები, რომლებიც სეროზულად არ მოეკიდნენ კოლმეურნეობებში დამზადებული პროდუქტების მიღებასა და რეალიზაციას.

კონფერენციის მონაწილეებმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საასრულეს. კონფერენციაზე გულისტკივილით აღინიშნა, რომ ბოსტნეულის ისეთმა მსხვილმა მწარმოებლებმა, როგორიც არიან სარაჩლოს, ფახრალოს და ქოშა-ქილისის კოლმეურნეობები, ვერ უზრუნველყვეს ბოსტნეულის მოსავლიანობის ზრდა და სახელმწიფო დავალებათა შესრულება.

> **ეს კი იმით აიხსნება, აღნიშნავდნენ დელეგატები, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა და სპეციალისტებმა არ განახორციელეს საჭირო ორგანიზაციული და აგროტექნიკური ღონისძიებანი ბოსტნეულის მოსავლიანობის ამაღლების მიზნით.**

კონფერენციის მონაწილეებმა გააკრიტიკეს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო, რომელმაც სათანადო დახმარება ვერ გაუწია საზოგადოებრივ მეურნეობებს ბოსტნეულის მოყვა-პატრონობისა და მოსავლის აღების საქმეში. აქვე გაკრიტიკებულ იქნენ „თბილისბოსტანეაპრობის“ დამამზადებელი კანტორის მუშაკები, რომლებიც სეროზულად არ მოეკიდნენ კოლმეურნეობებში დამზადებული პროდუქტების მიღებასა და რეალიზაციას.

კონფერენციის მონაწილეებმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საუკეთესოდ აღიარეს, რომ ამოცანებს წინაშე დგანან ამჟამად — აი საკითხი, რომლის ირგვლივაც გაშალეს სჯა-ბაასი ბოლნისელმა კომუნისტებმა თავიანთ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე.

მომხსენებელმა— პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. სანიკიძემ და კამათის მონაწილე კომუნისტებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს საანგარიშო პერიოდში რაიკომისა და პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობას, გაბედულად ამხილეს მათს მოღვაწეობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, მიუთითეს მათი დაძლევის გზებსა და გამოუყენებელ რეზერვებზე.

ბოლნისელ მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების, პირველ რიგში კი თბილისისა და რუსთავის მომარაგებაში. ეს კარგად ესმით რაიონის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს, კომუნისტებსა და უპარტიო მშრომელებს. ამას მოწმობს შარშანდელი სამეურნეო მაჩვენებლებიც. საიუბილეო წელს რაიონმა სამშობლოს გეგმით გათვალისწინებული 2.400 ტონის ნაცვლად მიჰყიდა 3.000 ტონაზე მეტი მარცვლეული, გადამეტებით შესრულდა ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების მოსავლიანობის გეგმები. მიუხედავად ამისა, რომ ეს ასეთი მაღალი მოსავალი ბოლნისელ კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს. ეს კი იმით აიხსნება, აღნიშნავდნენ დელეგატები, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა და სპეციალისტებმა არ განახორციელეს საჭირო ორგანიზაციული და აგროტექნიკური ღონისძიებანი ბოსტნეულის მოსავლიანობის ამაღლების მიზნით.

კონფერენციის მონაწილეებმა გააკრიტიკეს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო, რომელმაც სათანადო დახმარება ვერ გაუწია საზოგადოებრივ მეურნეობებს ბოსტნეულის მოყვა-პატრონობისა და მოსავლის აღების საქმეში. აქვე გაკრიტიკებულ იქნენ „თბილისბოსტანეაპრობის“ დამამზადებელი კანტორის მუშაკები, რომლებიც სეროზულად არ მოეკიდნენ კოლმეურნეობებში დამზადებული პროდუქტების მიღებასა და რეალიზაციას.

> **— სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობამ, — თქვა მან, — შარშან სახელმწიფოს ჩაბარა 1.755 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 ცენტნერისა. თითქოს ეს ცუდი მაჩვენებელი იყოდა, მაგრამ იმის გამო, რომ კოლმეურნეობის მიერ წარმოებული ეს პროდუქცია დაბალი ხარისხისა იყო, სახელმწიფომ მას თვითეული ცენტნერში მხოლოდ 134 მანეთი გადაუხადა. ეს მაშინ, როცა მეზობელ იმერ-ასანის კოლმეურნეობამ თვითეულ ცენტნერ თამბაქოში 162 მანეთი მიიღო. ფახრალოელებსაც რომ ისევე ეზრუნათ თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებისათვის, როგორც იმერ-ასანელებს, დამატებით 42 ათას მანეთ შემოსავალს მიიღებდნენ.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარსის პლენუმის გადაწყვეტილებებით ჩვენს ქვეყანაში დასახულია მელიორაციის ფართო პროგრამა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ შარშან ბოლნისის რაიონში მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა, მაგრამ ამასთანავე დელეგატებმა სამინისტროსაგან მოითხოვეს ოპერატიულად გადაწყვიტოს „ზედა არხისა“ და ხრამის სარწყავი მეურნეობის მშენებლობის საკითხი. ამით რაიონში 8.000 ჰექტარი ფართობი გასარწყავდება.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ᲛᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲛᲔᲪᲘᲜᲔᲠᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲕᲐᲚᲓᲔᲙ ᲠᲝᲨᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

�პᲐᲠᲘᲖᲘ, 11 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ვ. როშემ გუშინ პარიზის რაიონის პარტიული აქტივის თათბირზე თავის გამოსვლაში გააშუქა პარტიის პოლიტიკა შინაპოლიტიკური და საგარეოპოლიტიკური ხასიათის ზოგიერთ საკითხში.

ორატორი შეეხო საფრანგეთის შემარცხენე ძალების გაერთიანების პრობლემას და აღნიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები. მაგრამ ჯერ კიდევ არის დაბრკოლებები, რომლებიც უნდა გადალახოს მეშეიუნის უველა მემარცხენე პარტიის საერთო პროგრამის შესამუშავებლად.

ვ. როშემ განაცხადა: დასანანია, რომ ამას წინათ სოციალისტური პარტიის ორგანო „პოპულერ დე პარიში“ გამოქვეყნდა ზოგიერთი სტატია, რომლებსაც ანტიკომუნისტური ხასიათი აქვთ, რაც „სრულიადაც არ უწყობს ხელს მემარცხენე ძალების გაერთიანების ვითარების შექმნას“.

შემდეგ ვ. როშე შეეხო ხაერთო ბაზარში ინგლისის შესვლის პრობლემას და გაიცნო დამსწრეთ პარტიის პოზიცია ამ საკითხში. ამ პრობლემას, თქვა როშემ, აქვს არა მარტო ეკონომიური ხასიათი, არამედ, და უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური ხასიათი. საკითხი ახე დგას: ინგლისის შესვლა ევროსიერთში მოასწავებს იმას, რომ იგი განთავისუფლდება ამერიკის გავლენისაგან, თუ პირიქით, გააძლიერებს ამერიკის ძალადურ გავლენას ევროპაზე, როცა ამერიკის შეერთებული შტატები გამოიყენებენ პრივილეგირებულ მოკავშირეს, როგორიც არის ინგლისი. ეს უკანასკნელი გარემოება შეიცავს რეალურ საფრთხეს, და საფრანგეთის კომპარტიას მიაჩნია, რომ დიდ ბრიტანეთთან არ უნდა გაიმართოს მოლაპარაკება ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში მისი მიღების საკითხზე მანამდე, სანამ იგი არ უარყოფს პრივილეგიურ კავშირს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და არ განახორციელებს ევროპის უველა ქვეყანასთან თანამშრომლობის დამოუკიდებელ პოლიტიკას. ეს პოლიტიკა კი გულისხმობს სამხედრო ბლოკების დაშლას და იმას, რომ უარი თქვან ნატოს მოქმედების ვადის განახლებაზე 1969 წელს. ამ პოზიციას, თქვა ვ. როშემ, კომპარტია დაიცავს ეროვნული კრების სხესიზე, თუ ეს უკანასკნელი მოიწვიეს, როგორც ამას კომუნისტები მოითხოვენ.

ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲣᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 11 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა დიპლომატიური არხების საშუალებით ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ყურადღებას მიპყრობს საფრთხეს, რომელიც ევროპის ხალხებს ექმნებათ დასავლეთ გერმანიის ნეონაცისტური და რევანშისტული ძალების ზრდასთან დაკავშირებით.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ეგრეთ წოდებული „სუდეტელ გერმანელთა სათვისტომოს“ საქმიანობის საშიშროებას, რომლის ოფიციალურ დოკუმენტებში ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო რაიონებს უწოდებენ ჩეხოსლოვაკიის მიერ უკანონოდ ანექსირებულ ტერიტორიებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო რაიონების შეერთების პროვოკაციული და უხეში მოთხოვნაა წამოყენებული აგრეთვე ნაციონალისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში, რომელიც ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ნოემბრის ყრილობამ მიიღო ჰანოვერში.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის აზრით, ყველა შშვიდობისმოყვარე ქვეყნისა და მათი ხალხების ინტერესებისათვის აუცილებელია, რომ პოტსდამის შეთანხმების ყველა მონაწილემ იბრძოლოს მათი თანამიმდევრული დაცვისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე და რომ იქ აღიკვეთოს მთელი მილიტარისტული, რევანშისტული და ნეონაციისტური საქმიანობა.

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

ᲙᲝ�პᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). დანიის გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ მოითხოვს ძირეულად შეიცვალოს მთავრობის პოლიტიკა სამხედრო დარგში. დანია უნდა გათავისუფლდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკისაგან, დაიკავოს ნეიტრალური პოზიცია და მოითხოვოს უატომო ზონის შექმნა, ხაზს უსვამს გაზეთი. სამხედრო ხარჯები დაუყოვნებლივ უნდა შემაცირონ. სტატიაში აღნიშნულია, რომ, მოიპოვებენ ამორჩევლთა მხარდაჭერას პარლამენტის არჩევნებში, რომელიც ამ თვეში გაიმართება, დანიის კომუნისტები კიდევ უფრო გადაჭრით მოითხოვენ შეიცვალოს მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). კომუნისტი კენ ბრეტი აირჩიეს მანქანათმშენებელთა და მსხმელთა გაერთიანებული პროფკავშირის გენერალური მდივნის თანაშემწედ. ამ პროფკავშირში არიცხება 1.300.000 წევრი. უილიამ კოკინი, რომელსაც ეს პოსტი სამი წლის მანძილზე ეკავა, კენ ჰინსურის დროს გაუშვეს.

ᲥᲐᲜᲓᲐᲠᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲔᲒᲓᲜᲔᲜ

ᲮᲐᲠᲗᲣᲛᲘ, 11 იანვარი. (საკდესი). ორი ათას ხუთასი კატანგელი ჟანდარმი, რომლებიც თეთკანიან ექანდარეებულთ ეხმარებოდნენ კონგოს კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, გადავიდა სუდანის საზღვარზე და იარაღი და სამხედრო საჭურველი ჩაბარეს სუდანის ხელისუფლებს. ამას იუწყება სუდანის დეპეშათა სააგენტო.

ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 იანვარი. (საკდესი). ისრაელი ოკუპანტები სულ უფრო იკიდებენ ფეხს დაპყრობილ არაბულ მიწებზე. ასეთი დასკვნა გამოიტანა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის შემდეგ გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ კორესპონდენტმა რეი ვიკერმა. „30 ათას კვადრატულ მილზე, ტერიტორიაზე, რომელიც წაართვეს სირიას, ეგვიპტესა და იორდანიას, — წერს კორესპონდენტი, — ყველგან ერთი და იგივე სურათია: ისრაელები დღითი დღე სულ უფრო მაგრად იკიდებენ ფეხს“.

როგორც ვიკერი წერს, სულ უფრო ცხადდება, რომ ტელ-ავივს განზრახული აქვს სამუდამოდ დარჩეს არაბთა მიწა-წყალზე. „ანექსია არჩევანია, რომელსაც ახლა ყველაზე მეტად იხილავენ“, — წერს კორესპონდენტი.

თუმცა, ამის შესახებ ურცხვად ლაპარაკობენ ტელ-ავივის ოფიციალური პირებიც. შრომის მინისტრმა იგალ ალონმა ამას წინათ განაცხადა, „ჩვენი ქვეყნის (ისრაელის — კორ. შენიშვნა) ბუნებრივი საზღვარი მდინარე იორდანიაა“ და ამით ცხადყო ტელ-ავივის პრეტენზიები ანექსია უყოს ამ მდინარის დასავლეთ ნაპირს, რომელიც იორდანიას ეკუთვნის.

ისრაელის ერთ-ერთმა მემარჯვენე ლიდერმა მენახემ ბეგინმა თქვა: „არაბებს თუნდაც ერთი გოჯი მიწა თუ დავუბრუნეთ, ეს ერის ღალატი იქნებაო“. და ბოლოს, ბრიგადის გენერალმა ეზერ ვეიცმანმა, რომელიც ისრაელში მნიშვნელოვანი მეორე სამხედრო პირია, განაცხადა: „აქ დავრჩებით (დაპყრობილ ტერიტორიებზე) და აქ დავასახლებთ ებრაელებსო“.

„უოლ სტრიტ ჯორნელის“ კორესპონდენტმა გენერლის სიტყვების პრაქტიკული დადასტურება ნახა ისრაელთა დასახლებებში, რომლებიც სულ უფრო ფართოვდება არაბთა მიწა-წყალზე.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 11 იანვარი. (საკდესი). იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გუშინ დაგმო სატოს მთავრობის განზრახვა შემოიღოს სკოლებში სამხედრო სწავლება. ეს გეგმები, ნათქვამია ცენტრალური აღმასკომის განცხადებაში, ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას. ამხილებს მთავრობის განზრახვას სამუდამოდ დაამკვიდროს იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულება, დაჩქაროს ქვეყნის რემილიტარიზაცია.

ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲘᲪᲜᲔᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). „ვიპოვე ოსვენციმის ჯალათი იოზეფ მენგელე ბრაზილიის პატარა ქალაქ ელ-დორადოში, რომელიც მდინარე პარანის ნაპირზე მდებარეობს, და გადავუღე 16-მილიმეტრიანი კინოფირი“. ეს სიტყვები ეკუთვნის რეპორტიორ ადოლფ ჩადლერს, რომლის სტატია, როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იტყობინება, დაბეჭდილია ბრაზილიის გაზეთ „დიარიო დე ნოტიასიაში“.

ჩადლერი იტყობინება: როცა ელ-დორადოში ვიყავი, შევიტყვე, რომ მენგელე კვირაში ორჯერ მოტორიანი კატერით ჩამოდის ამ ქალაქში სტუმრად თავის ძმასთან. შევიარაღდი კინოკამერით და გადავუღე ფირი ადამიანს, რომელიც, ჩემი აზრით, მენგელე უნდა იყოს.

ჩადლერმა გადაღებული კადრები უჩვენა ორ პარაგვაელს, რომლებმაც იცნეს ოსვენციმის ყოფილი ექიმი.

ეს ადამიანი კინოკადრებით იცნო ასუნსიონის მცხოვრებმა დოქტორმა ოტო ბისამ. ბისამ ბრაზილიელ რეპორტიორს უთხრა, რომ 1959 წელს პარაგვაის დედაქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანში მყარნალობდა კუჭის ქრონიკული წყლულით დაავადებულ ადამიანს. ავადმყოფს ახლდა კაცი, რომელიც გამოსახულია ჩადლერის ფირზე.



ᲓᲠᲔᲖᲓᲔᲜᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲜᲐ

ᲓᲠᲔᲖᲓᲔᲜᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲜᲐ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წამყვანი საწარმოა, რომელიც აწარმოებს მაღალვოლტიან აპარატურას, ტრანსფორმატორებს, სამეცნიერო-საკვლევ, სამედიცინო მოწყობილობას. მისი პროდუქციის ცალკეული სახეობებზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ზეთით გასაცივებელი სამფაზიანი ტრანსფორმატორების ამწყობი საამქრო. მძლავრ დანადგარებს, რომლებიც ქარხანაში იქმნება, ლაიპციგის საერთაშორისო ბაზრობათა ოთხი ოქროს მედალი მიენიჭა.

ფოტო ადნ-საკდესისა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲞᲐᲜᲝᲛᲘᲨᲘ

ᲞᲐᲜᲝᲛᲘᲨᲘ ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში გაიმართა შეხვედრა საზოგადოების იმ დელეგაციასთან, რომელიც მონაწილეობდა მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულობაში.

მოხსენება გააკეთა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ნგუენ თჰი თხაპმა. მან ილაპარაკა ამის შესახებ, თუ როგორ იდღესასწაულეს საბჭოთა კავშირში ოქტომბრის იუბილე, როგორ უჭერს საბჭოთა ხალხი მხარს ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ სამშობლოს ხსნისათვის. ნგუენ თჰი თხაპმა მაღლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის პარტიას, მთავრობასა და ხალხს დიდი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის გზებზე ერთი წლის გამოცდის შემდეგ ქალაქ ნისაის სამრეწველო მოწყობილობის ქარხანამ დაიწყო სსრ კავშირში პოპულარული მიკროავტობუსების „ნისას“ ექსპორტი. პირველი პartია — 200-ზე მეტი მანქანა უკვე გაგზავნილია. მალე ქარხანა საბჭოთა კავშირში მოაწყობს მიკროავტობუსების მომსახურებისა და სარემონტო სადგურს.

ვარშავის ქუჩებში გაჩნდა პირველი მსუბუქი ავტომობილები, რომლებიც სახალხო პოლონეთში დაამზადეს იტალიის „ფიატის“ ფირმის ლიცენზიით. მალე ვარშავის ავტომქარხანა შეუდგება ამ მარკის მანქანების სერიული წარმოებას.

პოლონური „ფიატი“ ხუთადგილიანი ავტომობილია, რომელიც 60 ცხენის ძალის სიმძლავრის ოთხჭიანი ძრავა აქვს. იგი საათში 140 კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებს და 100 კილომეტრზე დაახლოებით 9 ლიტრ ბენზინს ხარჯავს.

2.367 ᲪᲣᲠᲐᲕ ერთეულს ითვლის ახლა სახალხო პოლონეთის სამედნარო ფლოტი. ეს უმთავრესად არის თვითმავალი სატვირთო კარჩაპები და ბუქსირები, მცურავი სარემონტო სახელოსნოები და ბორნები, რომელთა საერთო ტონაჟი 450.000 ტონას უდრის.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ. პრაღის ახლოს, რეუეში, ბირთვული კვლევის ინსტიტუტში, რომელიც აგებულია საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით, წარმოებს ატომური ენერგიის მშვიდობიან გამოყენებასთან დაკავშირებული კვლევა. სურათზე: მეცნიერი თანამშრომელი ილონა ზიკმუნდოვა ლაბორატორიაში.

ფოტო ჩტკ-საკდესისა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲘᲔᲛᲔᲜᲨᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 10 იანვარი. (საკდესი). „შორმსროლ 206 მილიმეტრიან ქვემეხებს, რომლებიც დადგმული იყო პაულანში სანისათვის ცეცხლის დასაშენად, მონარქისტები იყენებდნენ ამერიკელ სამხედრო ექსპერტთა უშუალო მეთვალყურეობით“, — განაცხადა გუშინ ადენში ჩასულმა იემენის ერთ-ერთმა ჯართუფროსმა ალ-ავასმამ მენის საადგილმამო კორესპონდენტთან ინტერვიუში.

„ბრძოლებში, რომლებიც მთელ წარსულ კვირას გაგრძელდა, იემენის რესპუბლიკის არმიამ დიდი ზარალი მიაყენა მონარქისტებს, — თქვა მან. — ამჟამად იემენის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები კონტროლს უწევენ მთელ გზებს, რომლებიც რესპუბლიკის დედაქალაქს სანას ამ ქვეყნის სხვა ქალაქებთან აკავშირებენ“.

ᲙᲐᲘᲠᲝ, 10 იანვარი. (საკდესი). „ამბები, რაც ამჟამად იემენში ხდება, ჩვენი ერთ-ერთი პრობლემაა. ყოველი დარტყმა, მიმართული იემენის მთავრობის წინააღმდეგ, მიმართულია ჩვენს წინააღმდეგაც“, — განაცხადა სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ალი სალემ ალ-ბაიდიმ კაიროს გაზეთ „ალ-აჰრამთან“ ინტერვიუში.

თუ საჭირო გახდა, — ხაზი გაუსვა ალ ბაიდიმ, სამხრეთ იემენის არმია შეუერთდება იემენის რესპუბლიკურ შეიარაღებულ ძალებს.

ალ-ბაიდი გუშინ ჩამოვიდა კაიროში, მეთაურობს სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო დელეგაციას.

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲯᲐᲜᲝᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა სამხრეთ ვიეტნამის ცენტრალურ პროვინციებში ახალი წარმატებანი მოიპოვეს ამერიკელი ავრესორებისა და მათი სატელიტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გასული წლის 26 დეკემბრიდან ამა წლის 4 იანვრამდე სამხრეთ-ვიეტნამელმა პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩამოაგდეს ან ბაზებსა და აეროდრომებზეევე მოსპეს 56 ამერიკული თვითმფრინავი, იუწყება ჰანოის გაზეთი „ალ ფან ნიან ზანი“.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲗᲔᲝᲤᲘᲚᲣᲡ ᲓᲝᲜᲒᲔᲡᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც კეიპტაუნიდან იუწყებიან, გუშინ „ხროტე სპიურის“ ჰოსპიტალში გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა თეოფილუს დონგესი, რომელიც 1967 წლის 27 თებერვალს აირჩიეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტად, მაგრამ მოვალეობის შესრულებას არ შესდგომია.

ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲠᲝᲑᲐ, ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲠᲝᲑᲐ...

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). ბელგიაში კვლავ მატულობს უმუშევრობა. 1967 წლის დეკემბრის დამლევისათვის აქ იყო 212.301 მთლიანად ან ნაწილობრივ უმუშევარი.

უმუშევრობა ყველაზე მეტად შეეხო სამშენებლო, მეტალურგიულ, საფეიქრო და კვების მრეწველობას.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 11 იანვარი. (საკდესი). გასული წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო 2.9 მილიონზე მეტი უმუშევარი, რაც ამ ქვეყნის მთელი მუშახელის 3.7 პროცენტს შეადგენს. ეს გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრომ. როგორც სამინისტროს მონაცემები ცხადყოფენ, ზანგ მოსახლეობაში ორჯერ მეტი უმუშევარია, ვიდრე თეთრკანიან მოსახლეობაში.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 11 იანვარი. (საკდესი). ეს ფილმი ყველამ უნდა ნახოს, რადგანაც იგი არა მარტო მოგვითხრობს ჭირვარამზე, რაც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა, არამედ მოუწოდებს კიდეც, რომ ატომური ბომბი აღარასოდეს გამოიყენონ კაცობრიობის წინააღმდეგ. ეს განაცხადა ხიროსიმის ატომურ მსხვერპლთა ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა სიგეფუქიმ, როცა ნახა დოკუმენტური კინოფილმი „ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შედეგები“. სწორედ ეს გვამოძრავებდა, თქვა მან, როცა მოვითხოვდით, რომ შეერთებულ შტატებს ჩვენი ქვეყნისთვის დაებრუნებინათ კინოდოკუმენტი. იგი უნდა ნახონ არა მარტო მეცნიერებმა და სპეციალისტებმა, არამედ ხალხის ფართო მასებმაც.

ფილმი „ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შედეგები“ იაპონელმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს იმ დღეებში, როცა ხიროსიმას და ნაგასაკის ეს ტრაგედია გადახდათ. მაგრამ ამერიკელთა საოკუპაციო ხელისუფლებამ კინოფისკაცია უყვეს ამ ფილმს და 20 წლის განმავლობაში გამოკეტილი ჰქონდათ. მათ იაპონიის გადასცეს მხოლოდ ფილმის ასული და აუკრძალეს მისი კინოთეატრებში დემონსტრირება.

გასული წლის დამლევს იაპონიაში დაიწყო მოძრაობა ამ ფილმის დაბრუნებისათვის. დემოკრატიული ძალები სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ ამ კინოდოკუმენტის ჩვენებას ხალხისათვის. მოთხოვნას მხარი დაუჭირეს კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა, პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ, კულტურისა და მეცნიერების ბევრმა თვალსაჩინო მოღვაწემ.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 11 იანვარი. (საკდესი). ეს ფილმი ყველამ უნდა ნახოს, რადგანაც იგი არა მარტო მოგვითხრობს ჭირვარამზე, რაც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა, არამედ მოუწოდებს კიდეც, რომ ატომური ბომბი აღარასოდეს გამოიყენონ კაცობრიობის წინააღმდეგ. ეს განაცხადა ხიროსიმის ატომურ მსხვერპლთა ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა სიგეფუქიმ, როცა ნახა დოკუმენტური კინოფილმი „ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შედეგები“. სწორედ ეს გვამოძრავებდა, თქვა მან, როცა მოვითხოვდით, რომ შეერთებულ შტატებს ჩვენი ქვეყნისთვის დაებრუნებინათ კინოდოკუმენტი. იგი უნდა ნახონ არა მარტო მეცნიერებმა და სპეციალისტებმა, არამედ ხალხის ფართო მასებმაც.

ფილმი „ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შედეგები“ იაპონელმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს იმ დღეებში, როცა ხიროსიმას და ნაგასაკის ეს ტრაგედია გადახდათ. მაგრამ ამერიკელთა საოკუპაციო ხელისუფლებამ კინოფისკაცია უყვეს ამ ფილმს და 20 წლის განმავლობაში გამოკეტილი ჰქონდათ. მათ იაპონიის გადასცეს მხოლოდ ფილმის ასული და აუკრძალეს მისი კინოთეატრებში დემონსტრირება.

გასული წლის დამლევს იაპონიაში დაიწყო მოძრაობა ამ ფილმის დაბრუნებისათვის. დემოკრატიული ძალები სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ ამ კინოდოკუმენტის ჩვენებას ხალხისათვის. მოთხოვნას მხარი დაუჭირეს კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა, პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ, კულტურისა და მეცნიერების ბევრმა თვალსაჩინო მოღვაწემ.

ᲘᲤᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 იანვარი. (საკდესი). 22 ათასი ამერიკელი ყოველწლიურად აკლავს თავს, თვითმკვლელობის რიცხვი სულ უფრო იზრდება. ბევრი სპეციალისტის აზრით ეს ოფიციალური ციფრი მნიშვნელოვნად შემცირებულია სხვადასხვა მოსაზრებით.

თვითმკვლელობის მიზეზები სხვადასხვაა — პირადი, სოციალური, წარმოშობილი კაპიტალისტური სისტემით — უმუშევრობით, მომავლის პერსპექტივების უქონლობით და სხვ.

„ამერიკული ცხოვრების წესის“ ასეთი გამოვლინებით შეშფოთებული ხელისუფალნი სასწრაფო ღონისძიებებს მიმართავენ.

დიდ ქალაქებში შექმნილია სპეციალური ცენტრები. პოტენციურ თვითმკვლელებს შეუძლიათ ტელეფონით დარეკონ იქ და „ესაუბრონ გულახდილად“. მიღებულია ხუთწლიანი პროგრამა... „თვითმკვლელობალოგიისა“ თვითმკვლელობათა მიზეზების შესასწავლად და თავიდან ასაცილებლად. არის წინადადება შექმნან „თვითმკვლელობათა თავიდან აცილების სპეციალური რაზმები“.

უშველის თუ არა საქმეს ეს ღონისძიებანი, ამის თქმას ყველაზე გამჭრიახი ამერიკელი მიმომხილველნიც კი ვერ ბედავენ.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲔᲡᲘᲕᲠᲝᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 იანვარი. (საკდესი). ამერიკის კოსმოსურმა აპარატმა „სერვეიორ-7“-მა, რომელიც გუშინ რბილად დაეშვა მთვარის ზედაპირზე, ვერ შეასრულა მორიგი ექსპერიმენტი მექანიკური ხასიათის უწესივრობის გამო. დედამიწიდან მიცემული ბრძანებით აპარატმა დაიწყო მთვარის ზედაპირზე დაშვება კონტეინერისა, რომელშიც იყო მთვარის ნიადაგის შემადგენლობის ანალიზატორი, მაგრამ ხრუტუნას ჩაუქერ გამო კონტეინერმა ვერ მიაღწია ნიადაგს და მთვარისაგან გარკვეულ მანძილზე ჩამოეკიდა გვარლს.

ნიადაგის ანალიზატორი წარმოადგენს ალფა გამოსხივების წყაროს და მთვარის ზედაპირის შემადგენელ ელემენტებთან ამ გამოსხივების ურთიერთმოქმედების გასაზომ მოწყობილობას, რის საფუძველზეც ირკვევა მთვარის ნიადაგის შემადგენლობა.

წარმოშობილი უწესივრობის გამო გაურკვეველი დროით გადაიდო მთვარის ნიადაგის სინჯების აღების ექსპერიმენტი.

ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ პრესა ფართოდ აშუქებს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკის აგრესიასთან ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. **ᲤᲠᲐᲜᲒᲘ** გაზეთები იუწყებიან, რომ სამხრეთ ვიეტნამში გრძელდება ბრძოლები და ხაზს უსვამენ ცნობებს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი ოპერაციის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების კონტუმის სამხედრო-საჰაერო ბაზის წინააღმდეგ. ამ ოპერაციის დროს მოსპეს 29 ამერიკული ვერტმფრინავი. **„ნიუ-იორკ ტაიმსის“** კორესპონდენტი ფრენკელი აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის „სიკერპეს“ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის საკითხში და წერს, რომ ჯონსონი „წინააღმდეგობას უწევს სულ უფრო მზარდ მოთხოვნას ამ დაბომბვის შეწყვეტის შესახებ“. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აგრეთვე აღნიშნავს, რომ გაძლიერდა უთანხმოება საიგონის რეჟიმის მეთაურებს ნგუენ ვან თხიეუსა და გენერალ კის შორის.

„ლუშანტე“, „ეკო“ და სხვა ფრანგული გაზეთები, ეხებიან რა ამერიკელი ემისრის ბოულსის გამგზავრებას კამბოჯაში, აღნიშნავენ, რომ ამ მოგზაურობას არ მოუხდენია რაიმე გარდატეხა ამერიკის შეერთებული შტატებისა და კამბოჯის ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ პრესა იუწყება, რომ ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარეობს პარტიულ ორგანიზაციათა კრებები, რომლებზეც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტები სავსებით იწონებენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებებს. გაზეთები ვრცლად აშუქებენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების სესიის მუშაობის პირველ დღეს. სესია იხილავს ჩეხოსლოვაკიის 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ყველა გაზეთი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ბულგარეთის კომკავშირის მე-11 ყრილობას, რომელიც გუშინ გაიხსნა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ პრესის ყურადღების ცენტრშია მთავრობის ხარჯების შემცირების ოფიციალური გამოცხადება, რასაც მალე მოელიან. გაზეთების აზრით, ლეიბორისტული პარტიის მემარცხენე ფრთის პროტესტების მიუხედავად, მინისტრთა კაბინეტი მკვეთრად შეამცირებს ასიგნებებს სოციალური საჭიროებისათვის.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲓᲐᲜ მიღებულ ცნობებში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ბროუნისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის რასკის მომავალი შეხვედრის შესახებ ინგლისური გაზეთები **„დეილი ტელეგრაფი“** და **„გარდიანი“** აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ზეგავლენას მოახდენს ინგლისზე, უარს ათქმევინებს სამხედრო ხარჯების რაიმე შემცირებაზე და შორეული აღმოსავლეთის რაიონებიდან ინგლისის ჯარების გაყვანის დაჩქარებაზე.

„ლონდონი ზეგავლენას ახდენს ბონზე“ — ასეთი სათაური აქვს **ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ** გაზეთ **„ტრიბუნა ლუდუში“** გამოქვეყნებულ კორესპონდენციას ბონიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქში ლორდ ჩალფონტის ვიზიტის შესახებ, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას, რათა დაეყოლიებინა დასავლეთ გერმანია მხარი დაეჭირა ინგლისისათვის „საერთო ბაზარში“ მისი მიღების საკითხში. კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ ჩალფონტის წინადადებებს ევროპის ექსეუტივში საფრანგეთის იზოლაციის შესახებ ძალზე თავშეკავებით შეხვდნენ ბონში.

ᲢᲝᲙᲘᲝᲗᲘ პრესა იუწყება, რომ მზადდება მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები იაპონიის სასებოს ნავსადგურში ამერიკის ატომური ავიამზიდის „ენტერპრაიზის“ შესვლის წინააღმდეგ. გაზეთი **„მაინიჩი“** „ენტერპრაიზისა“ და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ხომალდების მოსვლას უწოდებს „ზავი ხომალდების, დაუპატიჟებელი სტუმრების“. ვიზიტს. **„ასახი“** ეხება ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ავიამზიდის მომავალ ვიზიტს იაპონიაში და შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ვიშინგტონი ცდილობს „კიდევ უფრო ჩააბას იაპონია ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ სტრ

კომუნისტური შრომის საჯარმო

თბილისის № 1 ღვინის ქარხანა 70 წლისაა

ერსებობის სამოცდაათი წელი შეუსრულდა თბილისის № 1 ღვინის ქარხანას. მაგრამ ეს მარტო ერთი ქარხნის, ერთი საწარმოს იუბილე როდია. ეს არის იუბილე საქართველოს კულტურული მეღვინეობისა, იმ სახელოვანი გამარჯვებებისა, რომლებიც ამ წლების მანძილზე მოიპოვეს ქართულმა ღვინოებმა საერთაშორისო ასპარეზზე.

ოდითგანვე ქართველი კაცი შვილივით ზრდიდა ვაზს, მზისა და მიწის ამ ძვირფას ნაყოფს. ყოველ კუთხეს, ყოველ ფერდობსა თუ მიწას თავის ჯიშს ურჩევდა, ელოლიავებდა. ამით აიხსნება პატარა ტერიტორიაზე გავრცელებული ვაზის ჯიშების სიმრავლე.

ისტორიის ძნელბედობის გზით იარა საქართველომ და მისმა უპირველესმა მეურნეობამ — ვაზმა და მეღვინეობამ.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის და, რაც მთავარია, ჩვენმა ღვინოებმა რუსეთში საკმაოდ დიდი ბაზარი იპოვნეს. მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ღვინით დინტერესდნენ რუსეთისა და ევროპის ვაჭრები, მრეწველები. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ხელიდან არ გაეშვა ეს სარფიანი საქმე, დაიწყო საქართველოში ადგილ-მამულების შეძენა და იქ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება.

მაგრამ იმისათვის, რომ ღვინოს მიეღო თავისი საბოლოო სახე, რომ იგი სრულყოფილი სახით მისულიყო მომხმარებლამდე, საჭირო იყო აშენებულიყო ღვინის ქარხანა, სადაც მოხდებოდა სამარკო ღვინოების ჩამოსხმა.

1893 წელს თბილისის განაპირას, ვარაზისხევში დაიწყო საუფლისწულო მამულების ღვინის ქარხნის მშენებლობა, რომელიც 1897 წელს დამთავრდა. საპროექტო სიმძლავრე განისაზღვრებოდა 80.000 დეკალიტრით წელიწადში.

ქარხანამ პირველი პროდუქცია გამოუშვა 1897 წელს. არაოფიციალური ცნობებით, გამოშვებულ იქნა 1.000 ბოთლამდე მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოები „წინანდალი“, „გურჯაანი“, „ნაფარეული“ და „მუკუზანი“. ამ ღვინოების ნიმუშები ახლაც ინახება ჩვენი ქარხნის ბიბლიოთეკაში.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების სისტემატური მზრუნველობის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ასეთი გიგანტური ნაბიჯებით განვითარება.

მალე ქართული ღვინოების მაღალი ღირსებები ცნობილი გახდა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში. მარტო უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე ჩვენმა ღვინოებმა საერთაშორისო დეგუსტაციებსა და კონკურსებზე 170-მდე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. მათ შორის 70-მდე მედალი ჩვენს ქარხანაში ჩამოსხმული ღვინოების მიერ არის მოპოვებული.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის მსოფლიო აღიარების დამადასტურებელია 1962 წელს მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესის თბილისში გამართვა, ხოლო 1965 წელს ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსის მოწყობა.

ცნობილია, რომ ჩვენი ქარხანა ერთადერთი იყო, რომელიც მეცნიერულ დონეზე აწარმოებდა ღვინის დაყენებას. მას როგორც წინათ, ახლაც დიდი მოვალეობა ეკისრება ღვინის ტექნოლოგიის სრულყოფისა და ხარისხის დაცვის საქმეში. ამასთანავე იგი ერთადერთი საწარმოა, რომელიც საბოლოო სახით უშვებს ღვინოს. ქარხნის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში. ამუამად ქარხანა უშვებს 38 სახის ღვინოს, მისი სიმძლავრე კი ათჯერ გაიზარდა.

თბილისის პირველი ღვინის ქარხნის კოლექტივმა სახელოვანი შრომითი გზა განვლო, რომლის წინაშე ყოველთვის იდგა ძნელი და საპატიო ამოცანა—დაეცვა ქართული ღვინის ღირსება, მეტი რაოდენობით მიეწოდებინა მომხმარებლისათვის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ამ დაუღალავი შრომის შედეგია ის, რომ მას ერთ-ერთ პირველთაგანს რესპუბლიკაში 1963 წელს მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოს წოდება.

გასულ წელს საბჭოთა ხალხმა იზეიმა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი. ამ იუბილეს სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა ჩვენი ქარხნის კოლექტივიც. შრომაში მიღწეული წარმატებებისათვის ქარხნის კოლექტივს მუდმივ მფლობელობაში გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს სამახსოვრო წითელი დროშა. ეს დროშა არის სიმბოლო ქარხნის კოლექტივის შრომითი მამაცობისა.

ჩვენი კოლექტივის მუშაობის დევიზია გავაკეთოთ დღეს უფრო მეტი, ვიდრე გუშინ. ამ დევიზით შრომა ხელს გვიწყობს განუხრელად ვზარდოთ ქარხნის საწარმოო მაჩვენებლები, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება. ამან განაპირობა ის, რომ ჩვენი კოლექტივი უკვე ხუთ წელზე მეტია ინარჩუნებს საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. ამასთანავე საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ყველა დავალება და სახელმწიფო გეგმა ჩვენ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შევასრულეთ.

ქარხნის კოლექტივმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია მოგების გეგმის შესრულებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. ხოლო წარმოების მართვის ახალ სისტემაზე გადასვლამ საშუალება მოგვცა 10-15 პროცენტით გაგვზარდა ქარხნის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშების საშუალო ხელფასი.

საქართველოს მეღვინეობის განვითარებაში თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგებს, ღვინის სპეციალისტებს. ესენი არიან ქარხნის მთავარი მეღვინე გ. კანდელაკი, საკოლექციო განყოფილების უფროსი კ. მგალობლიშვილი, ლაბორატორიის გამგე ბ. ყარამანიშვილი, სამარკო ღვინოების საამქროს უფროსი გ. ნიკოლაიშვილი, ჩამოსხმის საამქროს უფროსი ბ. ბერიძე, ორდინარული ღვინოების საამქროს უფროსი რ. არველაძე, მთავარი ბუხმალტერი თ. ფურცელაძე, მთავარი მექანიკოსი ა. ვარსემაშვილი.

უკვე ორმოცი წელია ჩვენს ქარხანაში მუშაობენ და თავიანთი ბეჯითი შრომით კოლექტივის წარმატებას ხელს უწყობენ შეფუთვის საამქროს უფროსი ნ. მეზვრიშვილი და რეალიზაციის უფროსი ვ. გედეკანიშვილი.

ქარხანას მყავს მუშათა შესანიშნავი კოლექტივი. მოწინავეთა შორის არიან: ბოთლების მრეცხავი მ. ტატუაშვილი, ტარის საწყობის მუშა ლ. მანუკიანი, მტვირთავები ვ. დედაბრიშვილი და ი. პოლიტაევი, შემფუთავები ს. სვანიძე და ა. შახულოვი, ოპერატორები მ. მათიაშვილი, რ. ყაჭრიშვილი და ლ. გვენცაძე, გამსინჯველები რ. ბესტაევა და ს. გაგლოევა, ღვინის დამმუშავებლები და ჩამომსხმელები ო. ტოგონიძე, დ. თიგიშვილი, ხ. აივაზოვა, ნ. ჩარნაძე, დამლაგებელი ნ. გოგაძე და მრავალი სხვა. აი ამ ადამიანებმა გამოჭედეს ჩვენი ქარხნის წარმატება, მათი შრომა და მონდომება არის ჩვენი შემდგომი წარმატებების საწინდარი.

გვახარებს სახელოვანი ვზა, რომელიც თბილისის ღვინის პირველმა ქარხანამ განვლო, გვეამაყება სახელოვანი შრომითი წარმატებები, რომლებიც ქარხნის კოლექტივმა მოიპოვა. მაგრამ მართებული არ იქნება, ყველა ეს გამარჯვება და წარმატება მარტო ჩვენი კოლექტივისათვის მიგვეწერა, მეღვინეებმა კარგად იციან, რომ კარგი ღვინის დაყენება მხოლოდ კარგი უურძნისა და ღვინომასალისაგან შეიძლება. თუ მევენახე ამ მოიყვანს მაღალხარისხოვან ყურძენს, თუ ეს ყურძენი პირველადი გადამუშავების ღვინის ქარხანაში არ მიიღებს სათანადო სახეს, შემდეგ რაც უნდა ჯადოსანი ოსტატის ხელი მოჰკიდეს, მისგან კარგი ღვინო აღარ დადგება. ჩვენი კოლექტივი თავის წარმატებებს კანონიერად უმადლის იმ ქარხნებს, რომლებიც მაღალხარისხოვან პროდუქციას გვიგზავნიან.

რა თქმა უნდა მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები, ჯერ კიდევ სრულად არ არის ამოქმედებული ყველა რეზერვი. ჩვენი ქარხნის კოლექტივს, ისე როგორც საქართველოს მთელი ღვინის მრეწველობის მუშაკებს გვაკისრია დიდი და საპატიო მოვალეობა — მივცეთ საბჭოთა ადამიანებს რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო, ხელი შევუწყოთ მისი სახელისა და დიდების შემდგომ ზრდას.

თბილისის პირველი ღვინის ქარხნის კოლექტივი კვლავაც თავის ძალასა და ენერგიას მოახმარს დავალებათა პირნათლად შესრულებას, მისცემს სამშობლოს მეტ მაღალხარისხოვან ღვინოს, ეცდება არ შეარცხვინოს საქართველოს მეღვინეობის მოწინავე კოლექტივის სახელი.

ნ. ჟღენტი,

თბილისის № 1 ღვინის ქარხნის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინე.

თ ბ ი ლ ი ს ი ს № 1 ქარხნის ღვინოების ბიბლიოთეკას ღვინის, არყისა და კონიაკების ძვირფასი ექსპონატები აქვს. აქ ნახავთ 300 წლის რუსეთ არაყს, ნაპოლეონისდროინდელ კონიაკს და ქარხნის მიერ გამოშვებულ პირველ ღვინოებს. **სურათებზე** თქვენ ხედავთ ქარხნის პროდუქციის ნიმუშებს — მისი ბიბლიოთეკის უძველეს ექსპონატებს, რომელთა საერთო წლოვანება ათას წელზე მეტია. ზემოთ (მარცხნივ) — ქარხნის დირექტორი ნ. ჟღენტი; მარჯვნივ — ქარხნის მოწინავე მუშები (მარცხნიდან) შ. ბერაძე, ბ. ბუბაშვილი, დ. ვეშაგური, ნ. ბიტაროშვილი და ო. ტოგონიძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ერთიანი ბიბლიოთეკა

შ. თაყაძე

ამიერკავკასიის რკინიგზის ბოლექტივმა მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაცვალებამ მოსპო ერთ-ერთი ერუდიტი, ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი, ბრძენი ადამიანი, ერის საგანთო რევიზორი, სკკპ წევრი 1940 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, საპატიო რკინიგზელი შალვა ივანეს-ძე თაყაძე.

შ. თაყაძე დაიბადა 1909 წელს ქალაქ გორში მუშის ოჯახში. 1934 წელს, ამიერკავკასიის გზათა ინჟინრების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო მოსკოვ-კურსკის რკინიგზაზე, ხოლო ოთხ წლის შემდეგ გადაყვანილ იქნა სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის აპარატში, სადაც იმუშავა 1940 წლამდე, რის შემდეგ დაინიშნა ბელოსტოკის რკინიგზის საორთქლმავლო სამსახურის უფროსად.

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან, ბელოსტოკის რკინიგზის სამმართველოს ევაკუაციის შემდეგ, 1944 წლამდე შ. თაყაძე იყო დასავლეთის ფრონტის გზათა სამმართველოს რწმუნებული, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული მოძრაჟი შემადგენლობისა და ტვირთების ევაკუაციის დარგში ორჯონიკიძისა და ამიერკავკასიის რკინიგზებზე, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ნავთობპროდუქტების ჩასხმის დარგში აშხაბადის რკინიგზაზე. 1944 წელს დაუბრუნდა წინანდელ თანამდებობას ბელოსტოკის რკინიგზაზე, ხოლო 1946 წლის ბოლოს დანიშნულ იქნა ორჯონიკიძის რკინიგზაზე, სადაც ეკავა ყიზლარის განყოფილების უფროსისა და საორთქლმავლო სამსახურის უფროსის თანამდებობანი. 1952 წლის აგვისტოდან შ. თაყაძე ამიერკავკასიის რკინიგზაზე თანმიმდევრობით ასრულებდა სამტრედიისა და თბილისის განყოფილებათა მთავარი ინჟინრისა და მატარებელთა უსაშიშრო მოძრაობის საგზაო რევიზორის თანამდებობებს.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს შ. თაყაძის ნაყოფიერ შრომას. იგი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

მუშაობის ყველა უბანზე შ. თაყაძე თავდადებულად შრომობდა და საყვარელ საქმეს მთელ ძალებსა და ცოდნას ახმარდა.

შ. თაყაძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა შორის.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის საბჭო, კომიტეტი.

თბილისი 22-ე საართულიდან

რ ე პ ო რ ტ ა ჟ ი

უკან დარჩა მშენებლობის ცხარე დღეები. აღარ ჯახჯახებენ ცადაწვდილი კოშკურაამწეები, თავიანთი ზღაპრული „მხარმკლავებით“ ბუმბულივით რომ დაფრენდნენ რკინაბეტონის ვეება კონსტრუქციებს.

სამ წელიწადს ტრიალებდა ამ ნაკოხმახარ მოედანზე მშენებელთა არმია — მშენებლების ხელმძღვანელი თამაზ ებრალიძე, მოადგილე მიხეილ რამიშვილი, პროექტის ავტორი — არქიტექტორი ოთარ კალანდარიშვილი და კიდევ ბევრი სხვა სპეციალისტი, სანამ ეს დიდებული შენობა აღიმართებოდა. თუმცა ახლაც, როცა ეს სასახლე საექსპლოატაციოდ გადაეცა და სხვები დაეპატრონენ, ოთარ კალანდარიშვილი მაინც არ შორდება აქაურობას, ამოწმებს ყველა დეტალს, ყოველ კუთხე-კუნჭულს.

ასეა, ყველას ის უყვარს, რაზეც გარჯილა, შრომა გაუწევია, ენერგია დაუხარჯავს, ღამეები უთენია...

დიახ, სამ წელიწადს იბრძოდა ამ მოედანზე მშენებელთა არმია, ვიდრე „ივერიის“ დიდებული შენობა არ გამობრწყინდა, და ახლა, როცა მისმა მშენებლებმა სხვა ფრონტზე გადაინაცვლეს, რათა „ივერიის“ მსგავსი შენობები კიდევ გვიმრავლონ, ცათამბჯენს სხვა პატრონი გამოუჩნდა. ფართოდ გაიღო მისი კარები, რომ ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებს ჩვენებური სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ, ქართველი კაცის ღია გული, მიწის ბარაქა და სტუმარ-მასპინძლობის ეში აგრძნობინონ.

აქ იყვნენ პირველი უცხოელი სტუმრებიც — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების მონაწილენი. „ივერიაში“ მოდიან სხვა სტუმრებიც, სხვა ქვეყნისა და კუთხის წარმომადგენლებიც.

კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს ქალაქში, „ივერიის“ დარბაზებში! მობრძანდით, შინაურულად შეაღეთ კარი კომფორტულ ოთახებში, სადაც თქვენს გარდა ჯერ ღამე არავის გაუთევია. შეიარეთ წარმტაც კაფე-რესტორნებში, იგემეთ მადის აღმძვრელი ქართული კერძებისა და სასმელების არომატი.

აქ მოხვედრილ ადამიანს პირველად მოკრძალება იპყრობს. მოწიწებით აღებს საპარადო შესასვლელის მინის ვეება კარს და ფეხაკრეფით მიიბიჯებს წარმტაცად მორთულ ვრცელ ვესტიბიულში. ფარჩანამ პირველი პროდუქცია გამოუშვა 1897 წელს. არაოფიციალური ცნობებით, გამოშვებულ იქნა 1.000 ბოთლამდე მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოები „წინანდალი“, „გურჯაანი“, „ნაფარეული“ და „მუკუზანი“. ამ ღვინოების ნიმუშები ახლაც ინახება ჩვენი ქარხნის ბიბლიოთეკაში.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების სისტემატური მზრუნველობის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ასეთი გიგანტური ნაბიჯებით განვითარება.

მალე ქართული ღვინოების მაღალი ღირსებები ცნობილი გახდა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში. მარტო უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე ჩვენმა ღვინოებმა საერთაშორისო დეგუსტაციებსა და კონკურსებზე 170-მდე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. მათ შორის 70-მდე მედალი ჩვენს ქარხანაში ჩამოსხმული ღვინოების მიერ არის მოპოვებული.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის მსოფლიო აღიარების დამადასტურებელია 1962 წელს მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესის თბილისში გამართვა, ხოლო 1965 წელს ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსის მოწყობა.

ცნობილია, რომ ჩვენი ქარხანა ერთადერთი იყო, რომელიც მეცნიერულ დონეზე აწარმოებდა ღვინის დაყენებას. მას როგორც წინათ, ახლაც დიდი მოვალეობა ეკისრება ღვინის ტექნოლოგიის სრულყოფისა და ხარისხის დაცვის საქმეში. ამასთანავე იგი ერთადერთი საწარმოა, რომელიც საბოლოო სახით უშვებს ღვინოს. ქარხნის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში. ამუამად ქარხანა უშვებს 38 სახის ღვინოს, მისი სიმძლავრე კი ათჯერ გაიზარდა.

ცნობისმოყვარეთათვის

მუხტარის ორი თავი

უნიკალური ოპერაცია გაკეთა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ა. ბოგომოლეცის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის რეანიმაციის ლაბორატორიაში ცნობილმა მოსკოველმა პათოფიზიოლოგმა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. პ. დემიხოვმა, იუწყება კიევიდან საკავშირო ჟურნალისტთა ინფორმაცია. კიეველ ფიზიოლოგებთან ნ. პ. ადამენკოსთან, ვ. პ. დორიროშჩუკთან, ი. ფ. გერეისთან და პ. ფ. ზელინსკიასთან ერთად მან ოთხი წლის ძაღლს მუხტარს გადაუნერგა თავი და ორი თვის ლეკვის წინა კიდურები.

ოპერაცია მიმდინარეობდა ოთხ საათს ღრმა ნარკოზით. ამასთან გამოყენებული იყო სისხლ-ძარღვების შეკერვისა და ხელოვნური სუნთქვის საბჭოური ინსტრუმენტები და აპარატი. ექიმებს არ გამოუყენებიათ დიდი გაცივების მეთოდი და ხელოვნური სისხლბრუნვის აპარატი.

ვ. პ. დემიხოვმა ანალოგიური ოპერაცია პირველად გაკეთა 1953 წელს.

საკადესის კორესპონდენტთან საუბარში მეცნიერმა აღნიშნა, რომ შინაგან ორგანოებთან კავშირის უქონლად თავის სიცოცხლის შესაძლებლობა სახავს უიმედოდ დაზიანებული ყველა ორგანოს დონორისაგან აღებული ჯანმრთელი ორგანოთი მთლიანად შეცვლის პერსპექტივას.

ქირურგიული ოპერაცია შვიდგალიანი შტორმის დროს

ანტარქტიდის რაიონი, ვეშაპსანადირო ბაზა „საბჭოთა რუსეთი“, 11 იანვარი. (საკადესი). პატარა საზვერავ გემ „სვერეპიზე“ შვიდბალიანი შტორმის დროს წარმატებით გაკეთეს აპენდიციტის ოპერაცია. სოფერაციოდ გამოიყენეს კაიუტ-კომპანია. ეს გადმოსცა დღეს რადიოთი მიხეილ იზბენკომ, ვეშაპსანადირო ფლოტილიის „საბჭოთა რუსეთის“ დიდტირაჟიანი გაზეთის რედაქტორმა.

მოხდა ეს ბობოკარ ორმოციან განედებზე. მზვერავი გემი მორიგ რეისში იყო დაახლოებით ათას მილზე ფლოტილიიდან. მეორე შტურმანს ედუარდ ვორონკინს აპენდიციტის მწვავე შეტევა დაეწყო. ეკიპაჟს არ ჰყავდა საკუთარი მედიკი. რადიოთი მიღებულმა ექიმის კონსულტაციამ მდგომარეობა ვერ შეუმსუბუქა ავადმყოფს. ფლოტილიის მთავარმა ექიმმა ქსენია ჟიტლუხინამ გადაწყვიტა გამგზავრებულიყო ავადმყოფთან პატარა ვეშაპსანადირო გემით და გადმოეყვანა ავადმყოფი. შტორმის მიუხედავად, მთავარი ექიმი და მისი თანაშემწე, მედიცინის და მარიამ ბუიანოვა საშველად გაემართნენ.

შტორმი გაძლიერდა. ავადმყოფის გადაყვანა გემზე მეტად გართულდა. გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ერთადერთი, თუმცა სარისკო ვარიანტი — თვითონ მედიკები გადაეყვანათ მაშველი კანჭოთი. ზვირთებზე მოქანავე გემებს შორის გაეჭიმეს ბაგირი, რომელსაც კანჭო მიაბეს. საშველი ჟილეტებით შემოსილმა მედიკებმა და მეზღვაურებმა დიდი მამაცობა და ოსტატობა გამოიჩინეს და მიაღწიეს მიზანს.

ქირურგი ქსენია ჟიტლუხინა და მედიცინის და მარიამ ბუიანოვა შეუდგნენ ოპერაციას ისეთ პირობებში, როცა ძლივს იცავდნენ წონასწორობას და ფეხქვეშ ეცლებოდათ გემბანი.

საბჭოთა ვეშაპმონადირეებმა გმირობა უწოდეს ორი საბჭოთა ქალის ამ საქციელს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის რისკით გადაარჩინეს საბჭოთა მოქალაქე.

ლიდერთა საამეული

კიევში შედგა კალათბურთელ ვაუთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ერთი შეხვედრა. ადგილობრივი არმიის სახპორტო კლუბის გუნდი თამაშობდა რიგის ვეფ-ის წინააღმდეგ და გაიმარჯვა ანგარიშით 73:63 (32:30).

ამ გამარჯვებით კიევის სკა-მ შეძლო 8 ქულის შეგროვება და შეუერთდა ლიდერთა ჯგუფს. ახლა წინ არიან თბილისის „დინამოსა“ და კაუნასის „უალგირისის“, აგრეთვე კიევის არმიის სახპორტო კლუბის გუნდები, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველ ორს რვა ქულა აქვს ათი თამაშიდან, მესამეს — 12-დან. ლენინგრადის „სპარტაკსა“ და კიევის „სტროიტელს“ შვიდ-შვიდი ქულა აქვთ, არმიის ცენტრალური სახპორტო კლუბის გუნდს, რიგის ვეფ-სა და ტარტუს „კალევს“ ექვს-ექვსი ქულა.

როგორც ცნობილია, ჩვენს უძლიერეს საკლუბო გუნდებთან მატჩებს მართავს მსოფლიოს ჩემპიონი სსრ კავშირის ნაკრები. მორიგი მატჩი ნაკრებს ჰქონდა კაუნასში „უალგირისს“ წინააღმდეგ. კაუნასელები ინიციატივიანად იბრძოდნენ და ტაიმი მოიგეს 44:42. „უალგირისს“ არც მეორე ნახევარში გაუშვია ხელიდან ინიციატივა და დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი 90:85.

ორი ჩემპიონი?

მოსკოვი, 11 იანვარი. (საკადესი). სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციას განზრახული აქვს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება მიანიჭოს გროსმაისტერებს ლევ პოლუღაევსკისა და მიხეილ ტალს. ფედერაციამ ასეთი წინადადება შეიტანა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ცენტრალურ საბჭოში.

აქამდე განზრახული იყო მოეწყოთ ხარკოვის ჩემპიონატში გამარჯვებულთა დამატებითი მატჩი, მაგრამ მსოფლიო პირველობის მომავალი შესარჩევი შეხვედრების გამო ამ მატჩის გამართვა უახლოეს ნახევარ წელიწადში შეუძლებელია.

ჭადრაკის ფედერაციამ გადაწყვიტა სსრ კავშირის მომდევნო, 36-ე ჩემპიონატის ფინალში პერსონალურად მიიწვიოს პოლუღაევსკი, ტალი და ეგბერტ ვასიუკოვი, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

„ბურევესტნიკი“ ფინალში

დასავლეთ გერმანიაში ფინიშს უახლოვდება მსოფლიოს პირველობა ხელბურთში სტუდენტ ვაუთა გუნდებს შორის.

წარმატებით იბრძვიან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები — „ბურევესტნიკის“ ხელბურთელები. ნახევარფინალში საბჭოთა გუნდს პაექრობა ჰქონდა შვეიცის ხელბურთელებთან, დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 25:19 და ფინალში გავიდა.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. წარმატება რუმინელებს ხვდათ 18:12.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდები.

ტურნირი გევერვიიკში

ჰოლანდიის ქალაქ ბევერვიიკში დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. ვაუთა ასპარეზობაში საბჭოთა კავშირიდან გამოდიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **ტალი** და გროსმაისტერი **კორჩნოი.**

პირველ ტურში რიგელი გროსმაისტერი **ტალი** შეხვდა რუმინეთის ჩემპიონს **გეორგიუს.** პარტია მშვიდად წარიმართა და ყაიმით დამთავრდა. **კორჩნოის** შეხვედრა ჰქონდა ბულგარელ **პადევსკისთან.** პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ოუგოსლავმა **ჩირიჩმა** დაამარცხა **ვან ბიბი** (ჰოლანდია), **დონერმა** (ჰოლანდია) — **პორტიშე** (უნგრეთი). წინ არიან **ჩირიჩი** და **დონერი.**

ბედნიერი ბილეთები

გულრიფშის რაიონის სოფელ ჭვეთო ფშაფის მცხოვრებმა გოგუჯავამ ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების XII გამოშვების ლატარიის 72618 სერიის № 316 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

შ. ჯალალოლონია.

ნიგოითელმა ზ. გოგუაძემ ლანჩხუთის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა მეთერთმეტე გამოშვების ლატარიის 69399 სერიის № 170 ბილეთი, რომელსაც ხვდა პიანინო.

რ. ლორია.

ბ ო ლ ო სვეტზე

121 წლის მოხუცი ცეკვას აპირებს

„ახლა 121 წლისა ვარ, მაგრამ ლეკურის ცეკვაც შემიძლია“, — აცხადებს მახკეტის აულის მცხოვრები მუჟაიდ იახუხაჯიევი — გროზნოელი ექიმის ბ. კინდაროვის წიგნის „ჩაჩან-ინგუში მოხუცები“ ერთ-ერთი გმირი.

ეს არის პირველი სისტემატიზებული გამოკვლევა ჩაჩნებისა და ინგუშების შესახებ, რომლებმაც ას წელს გადააბიჯეს. წიგნში ავტორს მოჰყავს 1940 წლის გაზეთ „პრავდის“ საინტერესო შენიშვნა „რეკორდსმენი“ მოხუცის 180 წლის ჩაჩანი არსგირი ხაზიტოვის შესახებ. შენიშვნის კვალმა ექიმი ხაზიტოვის შვილიშვილთან ბოშა მაგომადოვთან მიიყვანა. მას 112 წელი შეუსრულდა და ცხოვრობს სოფელ აჩხოი-მარტანში.

ახლა მოხუცებულობის გვირგვინი ქალთა სქესის წარმომადგენლის ხელში გადავიდა. 129 წლის ჩაჩან ნაპატიუსუპოვას ახსოვს ბატონყმობის გაუქმება, რუსეთ-თურქეთის ომი, წითელწვერა შამილი...

ბ. კინდაროვი წიგნში აუწერს თავისი რესპუბლიკის 109 გამოკვლეული მოხუცებულის ცხოვრებას.

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.

ტელევიზია

12 იანვარი

10.00 — დოკუმენტური ფილმი, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „გამარჯობათ, ბავშვებო!“ ბავშვებს — ცხოველების შესახებ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.30 — — პოლონური მხატვრული ფილმი „ბუმერანგი“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „წამალი“, 18.15 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — განცხადებები, 18.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „უპატაკებს საქართველოს კომკავშირი“, 19.15 — „მღერის რესპუბლიკის სახალხო არტისტი ირაკლი შუშანია“, 20.00—„კინომგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.35 — კინონარკვევი, 22.10 — გერმანული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „კვალს „მეშვიდე ცაში“ მივყავართ“ — III სერია (ქართულ ენაზე), 22.55 — გადაცემათა პროგრამა

13 იანვარი

13 იანვრისათვის, 23.00 — მხიარული ცვლა (გადმოცემა მოსკოვიდან).

13 იანვარი

10.00 — ვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მოგიოლოცავთ, დაბადების დღეს“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ჯანმრთელობა“. სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — მხატვრული თვითმოქმედების დასახმარებლად. შეხვედრები თეატრის მოღვაწეებთან. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ალა ტარასოვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — ქართული მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, 16.25 — გადაცემათა პროგრამა, 16.30 — ბავშვებისათვის „საახალწლო ნაძვისხე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენა ეკრანი“, 18.15 — კონცერტი ბავშვებისათვის, 18.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 19.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1958 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — „ასი მინუს ორმოცი“ საღამოს შეხვედრების საახალწლო პროგრამის გამეორება, 22.30 — გერმანული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „კვალს „მეშვიდე ცაში“ მივყავართ“. IV სერია (ქართულ ენაზე).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 10 საათიდან.

ჩაუ ვრცელოთ, ჩაუ ეოვილეირთ

ილეგენ მუსიკალურ განათლებას

**წითელწყაროში, 11 იანვარი. (საკადესი). წითელწყაროში მუშაობს შვიდწლიანი მუსიკალური სკოლა. სკოლამ ბევრი ახალგაზრდა მუსიკოსი გამოზარდა. მაგალითად, მადლენა